



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030123235978618

№ 01-155/ო

04 / ივლისი / 2018 წ.

„ტუბერკულოზის მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ<sup>1</sup>“ და „კ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის № 249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს:

ა) „ტუბერკულოზის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - (დანართი №1);

ბ) „ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №2);

გ) „სენსიტიური ტუბერკულოზის მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №3);

დ) „სენსიტიური ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი და პირველი რიგის მედიკამენტებით გამოწვეული არასასურველი მოვლენების მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №4);

ე) „რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №5);

ვ) „რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი და მეორე რიგის მედიკამენტებით გამოწვეული არასასურველი მოვლენების მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №6);

ზ) „ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის გამოვლენა და მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №7);

თ) „ტუბერკულოზის და აივ კო-ინფექციის მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №8);

ი) „ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №9);

კ) „ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის მოვლა და მხარდაჭერა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №10);


ლ) „სერიოზული არასასურველი მოვლენის და/ან გვერდითი მოქმედების გამოვლინების შესახებ (SAE) შეტყობინების ფორმა“ - შევსების გაიდლაინი - (დანართი №11);

მ) „ტუბსაწინააღმდეგო და სხვა მედიკამენტების წამალთაშორისი ურთიერთქმედება“ - ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინზე თანდართული ბროშურა - (დანართი №12).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტუბერკულოზის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 21 სექტემბრის №01-280/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია   
ელექტრონულად

დავით სერგეენკო